საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი **19 დეკემბერი, 2012 წელი**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 3

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
მუსიკის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის დებულება, თანახმად დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 19 დეკემბრის
№ 3 გადაწყვეტილების

დანართი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
მუსიკის ფაკულტეტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო, ფაკულტეტის სტატუსი და უფლებამოსილება.

1. წინამდებარე დებულება ადგენს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისმუსიკის ფაკულტეტის სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს, აწესრიგებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო–კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის პრინციპებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის უფლება–მოვალეობებს, მათი დანიშვნის/არჩევის წესს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო–სამეცნიერო, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების ორი საფეხურის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) და უმაღლესი პროფესიული განათლების/დიპლომირებული სპეციალისტის სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ხელოვნების მეცნიერების მიმართულებით.

3. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე ბლანკები და შტამპი.

4. ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

თავი II
ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის
ძირითადი მიმართულებები

მუხლი 2. ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) შემოქმედებით და სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების–მაგისტრების მომზადება;

ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების–ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება.

3.ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) შესაბამის დარგებში საბაკალავრო და სამაგისტრო აკადემიური პროგრამების განხორციელება.

ბ)პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელება;

გ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

დ) სხვა სახის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობა.

თავი III

ფაკულტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები
და თანამდებობის პირები

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტი შედგება, აგრეთვე შემდეგი სასწავლო- შემოქმედებითი, სამეცნირო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან
ა)კლავიშიანი საკრავების დეპარტამენტი.
ბ) აკადემიური სიმღერის დეპარტამენტი.
გ) სამუსიკო პედაგოგიკის, საორკესტრო, მუსიკის თეორიისა და აკადემიური გუნდის დირიჟორობის დეპარტამენტი.
3. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა.

4. ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა კომისიები და სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა შესწავლის ან გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტზე არსებული დეპარტამენტების აკადემიური პირების მიერ არჩეული ორ–ორი წევრისაგან და სტუდენტური თვითმმართველობიდან არჩეული წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼ ზე ნაკლები.

2. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების არჩევიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა.
3. ფაკულტეტის საბჭო:
ა) ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას;
ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო, სამეცნიერო–კვლევით და შემოქმედებით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
ე) დეკანის წარდგინებით, სასწავლო წლის დასაწყისში, განსაზღვრავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის საგანთა ჩამონათვალს, საგნებისათვის მინიჭებულ კოეფიციენტებსა და ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

ვ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტზე აბიტურიენტთა მიღების წესებს;
ზ) ირჩევს ფაკულტეტის წარმომადგენლებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში;
თ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
ი) შეიმუშავებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და დასამტკუცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
კ) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს;

ლ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.
5. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. საბჭოს სხდომებს იწვევს ფაკულტეტის დეკანი საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/3–ის დასაბუთებული მოთხოვნით;
6. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
7. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
8. საბჭოს სხდომის მუშაობა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ადგენს საბჭოს სხდომის მდივანი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან;
9. საბჭოს სხდომაზე მიიღება საოქმო გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი;
10. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 5. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანად შეიძლება აირჩიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.
2. ფაკულტეტის დეკანი:
ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო–სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო, სამეცნიერო -კვლევით და შემოქმედებით პროგრამებს;
გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს;
ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
თ) წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სტრუქტრულ ერთეულებთან, სხვადასხვა დაწესებულებებთან და კერძო პირებთან ურთიერთობაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ი) ფაკულტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო პროცესის ჩატარების განრიგს და აკონტროლებს მის დაცვას;
კ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობები

ა) სამსახურთან შეთანხმებით წარმართავს ფაკულტეტის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად;
ბ) სამსახურთან შეთანხმებით ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
დ) წარმოადგენს ფაკულტეტის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან.
გ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. სამსახურის დანიშნულება:
ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას.
2. სამსახურის მიზნები და ამოცანები:
ა) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება;
ბ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
გ) ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;
დ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
ე) უნივერსიტეტში ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვა;
ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
3. სამსახურის ფუნქციები:
ა) ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავება;
ბ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
გ) რეკომენდაციების წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის) პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, სამაგისტრო, საგანამანთლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;
დ) მონაწილეობა აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში;
აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე
რეკომენდაციების წარმოდგენა ბხსუ ფაკულტეტების, აკადემიური საბჭოს წინაშე
სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;
ე) სტუდენტების გამოკითხვის კითხვარების შემუშავების ორგანიზება და კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;

ვ) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება;

ზ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ბხსუ ფაკულტეტების, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისათვის, ბხსუ ადმინისტრაციისთვის სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

თ) სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ბხსუ ფაკულტეტების, აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით;

ი) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტები, მოდულები და ა. შ.) დანერგვის ორგანიზება;

კ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ;

ლ) ECTS კრედიტების ინსიტიტუციური კოორდინატორის ფუნქციის შესრულება გაცვლითი პროგრამების მონაწილე ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის;

მ) მონაწილეობა ბხსუ კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების მონიტორინგის პროცესში;

ნ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ბხსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ბოლონიის პროცესთან, კურიკულუმის შემუშავებასთან, ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

ო) საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესის ორგანიზება;

პ) უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარმოდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

ჟ) ინსტიტუციური აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება;

რ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების ორგანიზება;

ს) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ტ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის კოორდინირება;

უ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტებით, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

თავი IV

სწავლის საფეხურები

მუხლი 10. პროფესიული უმაღლესი განათლება და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

1. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 და არა უმეტეს 180 კრედიტსა და მიზნად ისახავს პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის სპეციალისტის მომზადებას. პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად პირი იღებს დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომს, რომელშიც მიეთითება მისი კვალიფიკაცია. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობაა 2–3 წელი.

2. პროფესიული უმაღლესი საგანმათლებლო პროგრამა ხორციელდება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსაზღვრული კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მინიჭების მიზნით და უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტს.

3. ბაკალავრისტის პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მაძიებელს შეიძლება ჩაეთვალოს დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტები.

4. დიპლომირებული სპეციალისტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს 240 კრედიტს. ბაკალავრიატის პროგრამების ოპტიმალური ხანგრძლივობაა 4 წელი. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში სწავლისა და მუშაობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

6. ბაკალავრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

7. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის გაფორმების, წარდგენის, დაცვისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დებულების მიხედვით.

მუხლი 11. მაგისტრატურა

1. მაგისტრატურა – უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს შემოქმედებითი/სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

2. მაგისტრი – პირი, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება მაგისტრის ხარისხი.

3. მაგისტრანტი – მაგისტრატურის სტუდენტი.

4. მაგისტრატურაში სწავლის მიზანია:

ა) შემოქმედებითი, სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

ბ) სპეციალობის შეცვლა;

გ) კვალიფიკაციის ამაღლება.

5. უნივერსიტეტის მაგისტრატურის მართვა და საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

თავი V

ფაკულტეტის სასწავლო – სამეცნიერო ერთეულები

მუხლი 12. დეპარტამენტი

1.დეპარტამენტი არის ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო – სამეცნიერო და შემოქმედებითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს ერთ ან რამოდენიმე მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამაში დასაქმებულ აკადემიურ და დამხმარე პერსონალს.

2.დეპარტამენტი ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ, შემოქმედებით, სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას და უზრუნველყოფს ფაკულეტის სტუდენტების მომზადებას.

3. ფაკულტეტის სასწავლო–აკადემიური სტრუქტურული ერთეულებია:

ა) კლავიშიანი საკრავების დეპარტამენტი;

ბ) აკადემიური სიმღერის დეპარტამენტი;

გ) სამუსიკო პედაგოგიკის, საორკესტრო, მუსიკის თეორიისა და აკადემიური გუნდის დირიჟორობის დეპარტამენტი.

დ) პედაგოგიური პრაქტიკის სექტორი.

4.დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სრული ან ასოცირებული პროფესორი–დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო–სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობას, სტუდენტთა სწრებადობის აღრიცხვისა და შეფასების, ჟურნალებისა და შეფასების უწყისების დადგენილი წესით წარმოებას და პასუხისმგებელია მათ შენახვაზე;

ბ) ხელმძღვანელობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) და სილაბუსების შემუშავებასა და განხორციელებას;

გ) კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმების მიზნით, მიმართულებებთან ერთად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს საქმიან კავშირებს შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო და წინასადიპლომო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვას;

ე) ზრუნავს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე

ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის გეგმების შედგენას;

ზ) სასწავლო ჯგუფებს ამაგრებს კურატორებს (ტუტორებს) და წარმართავს მათ საქმიანობას;

თ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა და მაგისტრანტთა შემოქმედებით საქმიანობაში, სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;

ი) დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს შემოქმედებითი საქმიანობის , სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტებს და საორგანიზაციო საკითხებს;

კ) ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებებს;

6. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორის, ფაკულტეტის საბჭოსა და ფაკულტეტის დეკანის წინაშე და ყოველი სემესტრის ბოლოს წარუდგენს მათ საქმიანობის ანგარიშს.

7. თავის უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით დეპარტამენტი გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე. სხდომას თავმჯდომარეობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის სხდომის მუშაობა აისახება ოქმში, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის სპეციალისტი.

8. დეპარტამენტის სპეციალისტს დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით და დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

9. სპეციალისტი პასუხისმგებელია დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და დეკანის წინაშე.

თავი VI

ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და სხვა სტრუქტურები

მუხლი 13. ბიბლიოთეკა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი ბიბლიოთეკარი.

2. ფაკულტეტის უფროს ბიბლიოთეკარს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. უფროსი ბიბლიოთეკარი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე. იგი შეიმუშავებს და ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს სასემინარო ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამას, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

თავი VII
ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 14. ფაკულტეტის პერსონალი

1. ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე

თანამდებობებისაგან.
2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებისაგან.
3. სრული და ასოცირებული პროფესორები მონაწილეობენ და წარმართავენ სასწავლო – შემოქმედებით პროცესს და მეცნიერულ კვლევებს.
4 . აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით.
5 . აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით,რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის ,თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

6. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის მე–4 პუნქტით მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო სპეციალობებისათვის ღია კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობებია:

საშემსრულებლო მიმართულებით

ა) სრული პროფესორის თანამდებობის დაკავება შეუძლია საშემსრულებლო დარგის სპეციალისტს,რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელში ძირითადი საგნის სწავლებაში მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, შემოქმედებითი მიღწევები და გამოშვებული ჰყავს ჯგუფები.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება შეუძლია საშემსრულებლო დარგის სპეციალისტს, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელში ძირითადი საგნის სწავლებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება,შემოქმედებითი მიღწევები და გამოშვებული ჰყავს ერთი ჯგუფი მაინც.
გ) ასისტენტ–პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროფესიული და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკა და პროფესიული წარმატებები.

თეორიული მიმართულებით

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი
7. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ამ დებულებით.
8. აკადემიური თანამდებობის პირი და მასწავლებელი/ უფროსი მასწავლებელი ვალდებულია დაიცვას ფაკულტეტის ინტერესები, პრესტიჟი და არ ჩაიდინოს შეუფერებელი საქციელი.
9. შეუფერებელ საქციელად განიხილება:
ა) სტუდენტის გამოცდის შედეგებზე ზემოქმედება, მათ შორის ნაშრომის არაობიექტური შეფასება;
ბ) ლექციის არაერთჯერადი გაცდენა ან მასზე დაგვიანებით გამოცხადება; ფაკულტეტის საბჭოს სხდომების სისტემატიური გაცდენა;

გ) პლაგიატობის, ფაქტების გაყალბების და სხვა ანალოგიური ხასიათის დარღვევის დაფარვა;

დ) პროტექცია და პროტექციის ფაქტის დაფარვა;

ე) ფაკულტეტისათვის არასწორი,მათ შორის პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ვ) სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

ზ) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი სხვა ქმედების ჩადენა;

10.გადაწყვეტილებას შეუფერებელი საქციელის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით იღებს ფაკულტეტის ეთიკის კომიტეტი.

11. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

12. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

13.მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი. და უფროს მასწავლებელთან გათანაბრებული კონცერტმაისტერი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

14.დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.

15. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით პროფესორ/მასწავლებელთათვის დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო, შემოქმედებით ან/ და სამეცნიერო –კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

16. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით.

მუხლი 15. ფაკულტეტის მდივანი

1.ფაკულტეტის მდივანი წარმოადგენს უნივესტიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ დამხმარე თანამდებობას, რომელიც ექემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და დეკანს.

2.ფაკულტეტის მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. მდივნის მოვალეობაა:

ა) სტუდენტთა რეგისტრაცია;

ბ) სტუდენტთა პირადი საქმის შექმნა (აკინძვა);

გ)ელექტრონულ ბაზაში სტუდენტთა მონაცემების შეტანა და სისტემატური განახლება;

დ) სტუდენტის მოწმობისა და აკადემიური მოსწრების წიგნაკის მომზადება;

ე)სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება;

ვ) შესაბამისი სტრუქტურებისათვის ცხრილების, სიების, უწყისებისა და სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ზ) სტუდენტებისთვის ცნობებისა და ინფორმაციის გაცემა;

თ) საგამოცდო უწყისების მიღება–დამუშავება;

ი) აკადემიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;

კ) კურსდამთავრებულთა პირადი საქმის აკინძვა და არქივში ჩაბარება;

ლ) დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა ატესტაციის ორგანიზება, დემოგრაფიული მონაცემების გადამოწმება დიპლომის შესავსებად, წარჩინების დიპლომის კანდიდატთა დადგენა:

მ) დიპლომის დანართის შედგენა, რომლის სისწორეზე ასევე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი;

ნ) სხვა საქმიანობის განხორციელება სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე;

4. ფაკულტეტის მდივანი აწარმოებს ან/და მასთან ინახება:

ა) სტუდენტთა პირადი საქმეები;

ბ) ფაკულტეტის მოხსენებითი ბარათები, დეკანის ბრძანებების პროექტები და ბრძანებები;

გ) რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები;

დ) ფაკულტეტის საბჭოს წევრთა დემოგრაფიული მონაცემები;

ე) გასული და შემოსული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;

ვ) უნივერსიტეტის არქივში საბუთების ჩაბარების აქტების აღრიცხვის ჟურნალი;

ზ) სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის აღრიცხვის ჟურნალი;

თ) შეფასების უწყისები;

ი) ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და სხვა მეცადინეობების ცხრილები;

კ) ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და სხვა მეცადინეობებზე სტუდენტის დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;

ლ) სტუდენტებზე ცნობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;

მ) სტუდენტთა დემოგრაფიული მონაცემების ჟურნალი;

ნ) შემოსული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;

ო) სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის სარეგისტრაციო ჟურნალი;

პ) დიპლომის დანართის გაცემის აღრიცხვის ჟურნალი;

თავი VIII

სტუდენტი

მუხლი 16. სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი, რომელმაც ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გაიარა შესაბამისი შემოქმედებითი ტური/ტურები ფაკულტეტის მიერ დადგენილი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით;

2. სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდების მისთვის მინიჭებული უფლებები;

3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით საქმიანობაში ან მეცნიერულ კვლევებში;

გ) ამ დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს ფაკულტეტის მატერიალურ–ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ფაკულტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;

ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესდების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ზ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახლმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;

ი) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს სასწავლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) პერიოდულად მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;

ნ) საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად ისარგებლოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობით;

ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები;

პ) განახორციელოს ამ წესდებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლება–მოსილებანი.

4. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება;

5.ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის იმგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება;

6. სტუდენტთა ქცევის, დისციპლინური დევნის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწეისთა და ეთიკის კოდექსით.

7. სტუდენტი უფლებამოსილია მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

8. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას და წესდებით სწავლების შესაბამისი საფეხურის დებულებით ან უნივერსიტეტის შინაგანაწესის ან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. სტუდენტი ვალდებულია:

ა) ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებით, შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

გ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას.

ე) დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, პატივი სცეს ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანაწესს.

10. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული დანართით.

მუხლი 17. სტუდენტური თვითმმართველობა

1.ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ფაკულტეტის

სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და თავისი დებულების მიხედვით.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება–ჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით.

3.სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტების უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ვ) ნიშნავს წევრებს ფაკულტეტზე არსებულ მუდმივ თუ დროებით კომისიებში;

ზ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან.

თავი IX

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა.

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატების შეტანა ხორციელდება დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

სწორია: